სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N1/200919/3

ქ. თბილისი **20 სექტემბერი, 2019 წელი**

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, გიორგი გომარელის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ.№16, ს/კ №204525585; სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს „პარკინგ სერვისი“,** (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორის **ზვიად მანდარიას** სახით, მისამართი: ქ.ქუთაისი, გუგუნავას ქ.N2,ს/კ412711230, სს „ვითიბი ბანკი“ კოდი UGEBGE22 ა/ა GE03VT0500000000033407

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1.ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემოსავლების სამსახურის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით სხვადასხვა ავტოსადგომების მომსახურების **(CPV63712400)** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ლოჯისტიკისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს 2019 წლის 19 სექტემბრის N 114524-21-02 მოხსენებითი ბარათისა და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით (2015 წლის 25 თებერვლის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N80).

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

1. შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული **7 (შვიდი)** ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის **1 (ერთი) წლიანი** პარკირების საფასურის გადახდა და პარკირების სისტემაში გააქტიურება.
2. ავტომობილების მარკების და სანომრე ნიშნების ჩამონათვალი მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.

2.2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **280.00 (ორას ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით, საიდანაც ერთი ერთეული ავტომანქანისათვის სისტემაში 1 (ერთი) წლიანი ვადით პარკირების გააქტიურების ღირებულება შეადგენს **40 (ორმოცი) ლარს**).

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1 მომსახურების სისტემაში გააქტიურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.2 გაცემული ნებართვები ძალაში უნდა იყოს **1 (ერთი) წლიანი** ვადით.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

4.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

5. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

5.1 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში.

5.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
7.3 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
7.4 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
7.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.
7.6 იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი
10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს გაწეული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

12.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მიზეზების მითითებით.

12.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი: სსიპ „შემოსავლების სამსახური“	**მიმწოდებელი:** შპს. „პარკინგ სერვისი“
_____	_____
გიორგი გომარელი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	**ზვიად მანდარია** დირექტორი

20.09.2019 დანართი №1

ავტომანქანების ჩამონათვალი

№	ა/მანქანის მარკა	სახელმწიფო ნომერი	აქტივაციის პერიოდი
1	2	3	4
1	FORD RANGER	RS-170-GE	მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღე
2	FORD RANGER	RS-802-GE	მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღე
3	FORD RANGER	RS-845-GE	მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღე
4	FORD RANGER	RS-896-GE	მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღე
5	FORD RANGER	RS-897-GE	მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღე
6	FORD RANGER	RS-898-GE	მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღე
7	FORD RANGER	RS-899-GE	მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღე